

გაზეთის ფასი:

გაზეთით თბილისში
და გარეშე ადგილებში:
ერთი წლისა — 7 მან.
ნახევრის წლისა — 4 —
სამის თვისა — 2 — 50 კ.
საღამო ერთი ნომრისა გაუზენელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევით.

გაუზენელათ:
— — — 6 მან.
— — — 3 — 50 კ.
— — — 2 —

დროება

თბილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი
შეილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბეზუთოვის სახ
ლში.
თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Вь Тифлисъ. Вь
контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება
სხვა და სხვა ენებზე. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-
ბრისის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიბერატორო გაზეთი.

განცხადება

გაზეთის „დროების“ გამოცემა
1868 წელში.

1868 წელს გაზეთი „დროება“ გამოიცემა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს
წლებში გამოდიოდა და იმავე რედაქტორის და გამომცემლის ხელში.

ხალის-მოწყობის ფასი:

გაზეთით თბილისში
და გარეშე ადგილებში:
ერთი წლისა 7 მანეთი — 6 მან.
ნახევრის წლისა. 4 — — — 3 — 50 კაპ.
სამის თვისა 2 — 50 კ. 2 —

დროება გამოდის კვირაში ერთხელ პარასკევით.

ხალი მომწივრება:

თბილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხა-
ნის ქუჩაზე, ბეზუთოვის სახლში.

თბილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ ადრესით: Вь Тифлисъ. Вь
Контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქცია

უპირატესად სე-
ხლს „დროების“ ხალის-მოწყობას,
რომელთაც ამ წლის გაზეთის ფული
ჯერ არ შემოუბრუნათ, ეს ფული გამო-
გზავნონ.

შინაარსი. მმართველობის განკარგულება:
წესი, რომელთაც მიიღებენ სამხედრო სამსახურში ძა-
ნის აქეთა მხარის მცხოვრებლებს. — ძაქისის აქეთა
მხარის ინსტიტუტში სტრუქტურის სახელზე სტიპენდიის
დანიშნისათვის. დროების კორესპონდენცია.
ბოროტ უფლებადგან. პოლიტიკა: — საზოგადო მი-
მოხილვა. — შრანცია. — პესტრია. — იტალია. ტელი-
გრაფიები. წერილი რედაქტორთან. ლექსები.
პერძობითი განცხადება.

მთავრობის განცხადება.

წესი, რომელთაც მიიღებენ სამხედ-
რო სამსახურში ძაქისის აქეთა მხა-
რის მცხოვრებლებს. ძაქისის კამიტეტის
უმაღლესად დამტკიცებულის, 9 ივნის 1860,
25 ოქტომბრის 1862 და 6 დეკემბრის 1865
წელს, წესდებითა, რომელნიცა უმართებელე-
სმა სენატმა გამოსცა 20 სექტემბრის 1860
წ. 19 ნოემბრის 1862 და 4 იანვარს 1866
წ., განმარტა სიმართლენი პირთა სხვა-და-სხვა
ადგილობრივთა წოდებათა ძაქისის აქეთა
მხარისა სამხედრო სამსახურში შესასვლელად
და აფიცრის ჩინზე წარსადგენათ, შესაბამ იმ-
ათის გვაროვნებისა. ამასთანავე შემოხსენ-
ბულის ბრძანებებთა შორის პირველმა წესათ
დასდეს, რომ ძაქისის აქეთა მხარის მცხო-
რებთა, რომელთაც სამხედრო სამსახურში შე-
სვლა ჰქონო, შემდეგ იმისა, როცა წინათ მი-
სტემენ თხოვნას სამსახურში განსაწესებლათ,
უნდა წარუდგინონ თავიანთი დოკუმენტები
გვაროვნებაზე ძაქისის ნამესტნიკს; ხოლო
ძაქისის ნამესტნიკი, განიხილავს რა ამა
დოკუმენტებსა, მისცემს ამათ მაგიერად მოწ-
მობას, თუ რა შეძლებისა თითოეული, რო-
მელსაც სამსახურში შესვლა ჰქონო; ამ მოწ-
მობაში უნდა იყოს ახსნილი, რომელს რიგს
თავისებრ-მოსამსახურეს ეკუთვნის თითო-
ეული მოსურენი სამხედრო სამსახურისა.

ახლა ხელმწიფე იმპერატორმა თანახმად მისის
იმპერატორების უმაღლესობის ძაქისის ნამეს-
ტნიკის წარდგინებისა და თანახმად ძაქისის
კამიტეტის დაწესებულებისა ამ წლის 10 ოკ-
ტომბრის, უმაღლესად ბრძანა: 1866 წელს
14 მაისს დამტკიცებულნი კანონნი იყოს ძა-
ქისის აქეთა მხარის მცხოვრებთა ახალ-გა-
დათათვისაც, რომელნიც კი თავის ნებით
ისურვებენ სამხედრო სამსახურში შესვლასა
და ამის შესაბამათ ის პირნი, რომელნიც თა-
ვის ნებით განწყობულან სამსახურში და რო-
მელთაც არსად უსწავლიათ, მიაწერონ პირ-
ველს კატეგორიას, სადაც მოსამსახურენი წყო-
ბაში უნდა ეარჯისოდნენ ორის წლის განმე-
ლობაში: შემოხსენებულის კატეგორიისანი
იქნებანთ თავადნი და აზნაურნი, რომელნიც
დამტკიცებულნი არიან დადგნილის წესითა,
აგრეთვე წვერნი ღადიანის გვარისა, რომელ-
ნიც შთამომავლობით სამეგრელოს მთავრის
სახლიდან არიან; პირნი მუსულმანის მხარე-
ბის მფლობელთ გვარისანი, მყოფნი ძაქისი-
ის აქეთა მხარეში; მეორე კატეგორიას მიეწე-
რებიან ისინი, რომელთაც წყობაში უნდა იმ-
სახურონ ოთხს წელს: ყველა თავადნი, სამ-
თავრო და საეკლესიო აზნაურნიცა, რომელნიც
სამეგრელოდგან არიან, მელიქები, სულთნე-
ბი, ალაღარები და იმათი შვილები, შთამომე-
ლობითი საპატიო მოქალაქეები, სათავადო
აზნაურები იმერეთისა და ბურისა და იმათი
შვილები, მინამ იმათი სიმართლენი საბოლო-
ვით არ დამტკიცდებიან მთავრობისაგან, სა-
სულიერო და ეკლესიის მსახურთ შვილნი
სომხისა და მარაზმადიდებელის სარწმუნო-
ბისა, მაჰმადის სარწმუნოების სასულიერო პი-
რნი და იმათი შვილები; მესამე კატეგორიას
მიეწერებიან ისინი, რომელნიც მოვალენი არი-
ან წყობაში ექვსი წელიწადი ემსახურონ: ქა-
ლაქისა და სოფლის მცხოვრებნი, მოქალაქე-
ნი და სახელმწიფო გლეხები, საეკლესიო და
დროებით-მოვალენი, კომლზე რომელნიც
არა სულზე იხდიან მეტნაკლავ სახელმწი-
ფო ხარჯსა და, რუსეთის შინაგუბერნიებში

რეკრუტებს რომ აღლევენ სახელმწიფოსა იმ-
წოდებასთან უნდა გაასწორონ ესენი.
ძაქისის აქეთა მხარის ქალების
ინსტიტუტში ძრისცინიის სახელზე
სტიპენდიის დანიშნისათვის. შთა-
რისის სამმართველოს კანტორის დეპარტა-
მენტის უწინდელმა დირექტორმა, ტინი სო-
ვეტნიკმა ძრისცინიის ანდერძათ დასტოვა,
რომ იმის ხარჯზე აღიზარდოს ხოლმე თითო
ქალი შემოხსენებულს ინსტიტუტში. ამისთ-
ვის იმნ გადასდეს თავნი, რომელნიც მთა-
ერობა ძლევს (სარგებელს) პროცენტებს. რაც
ყოველწლივ პროცენტებიდან დარჩება ძრი-
სცინიის სურვილისამებრ, უნდა მოახმარონ
გასაზრდელს ქალს პირველ-გამოსაწყობათ და
შემდეგ, როცა გათავიებს, მაშინაც უნდა მის-
ცენ ტანსაცმელის შესაყვრათ. როგორც კი
გაიხსნება ამ სტიპენდიის ვაქანია, მაშინვე
ინსტიტუტის რჩევის განკარგულებით უნდა
შერიცხონ დასავლეთის გუბერნიების რომ-
ლისამე მცხოვრების ასული, ამასთანავე უპი-
რატესობა უნდა მიეცეს ობოლს და თუ ობ-
ოლი არაიქნა, ღარიბს მდიდართან შედ-
რებით. შემოხსენებულის მიზნისათვის თავნი,
4,050 მანეთი, კიდევ წარადგინეს იქ, სადაც
რიგია. ახლა ხელმწიფე იმპერატორმა თ ნახ-
მად მისის იმპერატორების უმაღლესობისა ძა-
ქისის ნამესტნიკისა და ძაქისის კამიტეტის
დაწესებულებისა ამ წლის 10 ოქტომბრის, ყო-
ველად — უმოწყალებად იქნება ძაქისის აქეთა
მხარის ქალების ინსტიტუტში სტიპენდიის დამ-
ტკიცება ძრისცინიის სახელზე იმ პირობით
კი, რომელთა შემდეგ საპენსიონერო წლის
ფული ორასს მანეთზე მეტი იქნება, მაშინ პენ-
სიონერების მიღება უნდა შესწყდეს და პრო-
ცენტები (სარგებელი) თავნს მიემატოს იმ
დრომდის მინამ სარგებლით გადიდებული თავნი
იმდრზე არ მიაწევს, რომ შეეძლოს დაწესე-
ბული საპენსიონერო ფულის გადახდა ყოველ
წლივ.

დროების კორესპონდენცია

წარსულ წლებში მქონდა მე მანდობილი
ბოროტ უფლებადგან ბევრგან ახლად გა-
ნათვისუფლებულნი საბატონო გლეხნი რაო-
დნ სულს შეადგენდნენ; ამ შემთხვევით ვი-
სარგებლე და შევკრიბე სხვა-და-სხვა ცნობა,
რაცა შეეხება გლეხების ცხოვრებას, რომე-
ლთა შრომა და ქონება გადადის ვაჭრების
ხელში; აი როგორ:

ზოგს გლეხს აუღია ვალი, მიუცილებელის
საქარებისათვის ათი თუმანი, თხუთმეტი,
ოცი, მეტი და ნაკლებ, თუმანი კოკათ, კოკა
ნახევრათ და ორ კოკა ტკილად ამ პირობით;
უკეთეს მოვალეს, ვენახის პატრონს არ მოუ-
ვიდეს იმდენი ტკილი, რომ ეს სარგებელი
გადაიხადოს, იგი ვალდებულია იმ წელიწადს,
როგორც ფასობს კოკა ტკილი სარგებელი
ფულად აქციოს, ეს ფულიც თავნზე მიაწე-
როს და თამასუქი გამოუტყალოს; ამისგან
ზოგჯერ ერთი თუმანი წელიწადში იგებს სა-
რგებელს ხუთს, ექვსსა და შვიდ მანეთს, ზო-
გჯერ ერთი ორად და მეტად შედგება, რად-
განაც კოკა ტკილი გაიყიდება ხოლმე ხუთი
მანეთიდან რვა მანეთამდის. ამ გვარადვე მა-
ტულობს პურზე აღიბული თოლი, თუმანი

კოდ პურათ, კოდ ნახევრათ და ორ კოდ პუ-
რათ.

ზოგ მოვალეს დაუგირავებია თავის ვენახი
და აწოდებს „კახურად“ ამ პირობით, რომ
ვენახი თვით მეპატრონემა უნდა შეიმუშაონ
საკუთრად და რაც მოსავალი მოუვა, იმას კი
ფულის პატრონი აიწყავს სრულებით თავის
საწყაოთი თუნგნახევრანით და ბევრით მე-
ტის თუნგით, კოკას მანეთათ თავნში და სა-
რგებელში; ამასთანავე აირჩევს იგი ერთს მო-
საკიდს გოდორს ყუბდენს საჯანგოთ და სა-
ფარავის ქაქას. ამ პირობებს თითქმის დასას-
რული აღარა აქვს იქამდისინ სინამ, ზოგიერთი
მამულის პატრონი იძულებული არ შეიქნება,
რომ ესრედ დაგირავებულ ვენახს ან მიჰყიდოს
ნაკლებ ფასათ იმას, ვისი ფულიც მართებს, ანუ
გარეშე პირსა და ამით არ განთავისუფლდება
დაწყოლებული ვალისაგან.

ზოგს აუღია ვალი წელიწადში თუმანი
ორ მანეთათ სარგებლით, ხუთი თუმანი ექვს
თუმანად და ყოველ წელიწადს, უკეთეს ვერ
გადაიხდის ვალზედ, მაშინ მოვალე-გლეხი ეწე-
ვა სარგებლის სარგებელსაც, ღმერთმან უწყის,
როდემდის. მს არის მიზეზი, რომ ქართლსა
და ქახეთში დიდძალი უანგარიშო ვალია და
გლეხნი არიან მარადის ფულის პატრონებისა-
გან დამონაყებულნი სიღარიბეში გულ-ხელ
დაკრფილნი.

რასაკვირველია, გლეხნი ყოველთვის იქნე-
ბიან ესრედ უკიდურეს მდგომარეობაში, უკე-
თუ თვით სოფლები (საზოგადოება) შეძლე-
ბისამებრ არ იქონიებენ თავ-თავის საკუთარს
ბანკსა სათანოდ ფულს, როგორათაც მერო-
პაში განთლებული ხალხთა აქვსთ ყოვლის
საჭიროებისათვის შემდგარი ბანკები სხვა-და-
სხვა გვარის ღონისძიებით, ესე იგი უწინარეს
მცირდის შეწირულებითა, ახლა ატრიალებენ
იგინი მილიონებს და ამ სიმდიდრით სწავლა
და ხელოვნება გაფრცელებულია იმათში.

მაგალითად ნათქვამია: ციციანთელა სინათ-
ლეს მისდევს.

პირველი ბანკის დაწყება, რადგან მოითხო-
ვს მცირედ რასმე შეწირულებას გლეხთათვის,
თუმცა დიდი საგრანგებელი და საგრანდო-
ლია, მაგრამ სცევ კი ნათქვამია: მაშა ლხინსა
ვინ მოიპყის პირველ ქართა უზუშაკო. აი ამ-
ისი ცხადი მაგალითი გლეხების განთავისუფ-
ლება, რომელმან აღმოუჩინა ყოველი უთან-
ხმოება მეპატრონეთა და გლეხთა შორის საუ-
კუნოდ, ახლა მეპატონე აღლევს ხელს გლე-
ხებს და ცდილობს იმათისა. საზოგადო
ბანკი წესდება ჩვენში მეპატონეთა
და გლეხთა ცხოვრების განსაკუთრებლად;
უწინ, გაუნათლებელ დროს, ვინ იფიქრებდა ამ
კეთილ მოქმედებაზე, რომ ბანკი, ესევე სა-
თანოდ ფული, შემდგარიყო ამ ორის წოდ-
ბის საარგებლოთ ერთად ამისთვის, რომ ხე-
ლი ხელს დაბანს და ორივე თეთრი შეიქნე-
ბაო.

დ. მელიქიშვილი.

17 დეკემბრის 1867.

ბოროტ უფლებადგან. ახლანდელი მამუ-
ლის მეპატრონეების მდგომარეობა.

ჩვენი მამულის მეპატრონეების მდგომარე-
ობა ახლანდელს დროში შეიქნა სამძიმო რა-

მდენივე მიზეზის გამო; მამულის მეპატრონეთა დღე-ღამე უმძიმდებოდა მამულის კეთება და მუშაობა. ამის მიზეზი მუშა ხელის სიძვირეა. რამდენიც ღირს გადის, იმდენი ძვირდება ხელი და არ იფუძვება, მიწის მოსავალი კი თან-და-თან იფუძვება; ამისთვის რომ მამულის მეპატრონეებს ფული არა აქვთ და რადგან მამულის მოვლისათვის ეჭირებათ მუშა-ხელის დაქირავება, მეტი გზა არა აქვთ, წინათვე მოსავალი ნახევარ ფასით უნდა გაჰყიდონ ქირის მისაცემით.

ჯერ ჩვენ ქვეყანაში ბანკი (სესხი) არ არის, რომ მამულის მეპატრონეთა აქედან გაიმართონ ხელი; ისევე მეტი ღირს არა აქვთ, თან-და-თან მთელი წლის ნაშრომი უნდა ჩაუდგონ ხელში ვაჭრებსა ნახევარ-ფასით. ამის მიზეზითაც დიდ მხენელ-მოყვლელებს და მამულის მეპატრონეთა თვის ღირსე, როდესაც შეეძლებათ ზომიერ ფასით გაჰყიდონ, მაშინ ამით სრულდებიან აღარ აქვთ ხოლმე გასასყიდი. მაგრამ ჩვენში არიან იმისთანა ვაჭრები ნამეტანათ ურთობადანი, რომელნიც ორი ათასს და სამი ათასს კოდობით ჰყიდიან პურსა და ქერს ყოველწლივ. მს ის პური და ქერია, რომელიც იმათ აქვთ ამ შემთხვევით ნახევარ ფასით წინათვე შესყიდული. ამ მიზეზით ფულის პატრონებს რჩებათ ის სარგებლობა, რაც უნდა ღირდეს მამულის მეპატრონებს; ამის გამო დიდ მხენელს—მოყვლელებს ხელიდან ეცლებათ ის სარგებელი, რომლითაც შეეძლოთ თავიანთი მამულის სისრულეში მოყვანა.

ჩვენი მამულის მეპატრონეები ამ მდგომარეობიდან ძნელათ გამოვლენ, თუ მუშახელის შემოკლებას არ აღედგენენ მხედრს ყურადღებას და ხმარებაში არ შემოიტანენ სხვა-და-სხვა სასარგებლო მიწის იარაღებს და მაშინებს; ჩვენს მამა-პაპებს რომ წესით უმუშავნათ, ის წესი აღარ გვარგებს. ჩვენი შვიდ-უღლიანი გუთანი ახლა ზარალის მეტს მიწის მეპატრონეს სარგებლობას არას მისცემს. იმ ღირს მუშა ხელი მუქთი იყო. მუშა-კაცში უწინდელს მეპატრონეს კაცები არ ეხარჯებოდა; ამის გამო რაც უნდა სამიმო ყოფილ იყო ჩვენებური გუთნით მუშაობა, მეპატრონე მაინც მოგებაში იყო: მოჰყავდა იმდენი ნამუშავერი, რომ მუშა ხელს არჩენდა, თავის თავს და დანარჩენს ჰყიდა, გაყიდული ნამუშავერი ხდებოდა ნაღდ ფულად იქნებოდა? მს მოგებული ფული თუნდა იმდენი არ იყო, რამდენიც იმ დიდ მამულის პატრონს შეეფერებოდა, მაგრამ ის მაინც არ იყო ამისი მომდურავი, რადგან მოგებას ჰხდებოდა და არა ზარალსა. ჩვენს მამაპაპებს რომ უმუშავნათ, ის წესი აღარ გვადგება. მხლა კი სრულიად სხვა არის: მუქთი მუშა მოისპო, შრომას ფასი დაეღვა; ამისგან ჩვეულებრივის წესით მუშაობა ხარჯს მეტს ითხოვს; მაშასადამე დანახარჯი რომ სარგებელს შეეფარდებოდა, თითქმის ზარალში ეარს. რასაკვირველია, ამან ზედ ბევრს არ ექნება ეჭვი, რომ სისრულეში მოყვანილის მიწის სამუშაო იარაღების ხმარებით შემოკლებოდათ მუშა ხელის დაქირავება და თითქმის ნახევარზე ნაკლები ხელით შეეძლებათ უმეტესი მიწის შემუშავება. მაგრამ ამასაც იმისთანა მიზეზები თანადაერთიან, რომ სამუშაოთ დიდის გაჭირვებით და გაბედულებით უნდა შეუდგნენ უკეთესს მიწის იარაღების ხმარებას. ახლა ეს უნდა ვიკითხოთ, რა ღირს ძიებით და საშუალებით მოიპოვონ ან სად იყიდონ? მ. ტფილისში რომ იყოს ამების ქარხანა ანუ რიგიანი დეპო, მაშინ კიდევლა შეეძლებათ ადგილობრივ ყიდვა, მაგრამ რაკი არ არის ამების ვაჭრობა, ამიტომაც დიდათ ეძნელებათ, რომ ვისიმე რიგით გამოიწერონ. მინ იცის გამოადგებათ თუ არა და ან აქაურს მიწის ნიადაგში იყარვებს, თუ არა?

თუმცა ამ მიზეზების გამო, როგორც ვიცით, ძველის ადგილ-მამულის პატრონობის საზოგადოებამ მისცა ღირსი—ძიება ოდესღაც

მაშინების გამოცდას მალეს, რომ გაეხსნა ძველს ადგილის ფერმაში მიწის სამუშაო იარაღების და მაშინების დეპო, სადაც უნდა ჰქონიყო ყოველი გვარი სამუშაო მიწის იარაღები; გარდა ამისა უნდა იქვე ეხსენებინა, ემკა და ელწნა საჩვენებელათ, რომ მიყიდვით ენახათ მაშინების მოქმედებაში და მიხედვითიყენენ მაშინებისა და სხვა იარაღების ხმარებას; ამით, რალა თქმა უნდა, მომეტებულით მიიზიდავდა მსურველებს. და რაკი ჩვენი ხალხი ღარწმუნდებოდა, მაშინ უეჭველათ სურვილი დაებადებოდათ ამ სასარგებლო მაშინებით და იარაღებით მუშაობისა.

მს მოხსენებული დეპო უ. მალლესი დღესაც არის, მაგრამ სასარგებლო და ჩვენი ქვეყნის გამოადგევი მიწის სამუშაო იარაღები და მაშინები ბევრი არა აქვსრა და აქამდის არც ის სასარგებლო აზრი სრულდება, რომელიც ჰქონდა ტფილისში სამეურნეო იარაღების დეპოს გაშლასა. მალლემ გამოგზავნა იმისთანა მიწის სამუშაო იარაღები, რომელნიც არ არიან ხეირიანათ გამართულნი და ძნელათ გამოადგებიან აქაურს მიწის ნიადაგს გარდა ორიოდ გუნისა; არც საკუთარი ხელოსნები ყავს ამების გასაკეთებლათ გატენის ღირსა. უ. მალლეს რომ კეთილსინდისიანათ აღესრულებინა თავისი მოვალეობა და ყური ედევნებინა, და აქაურის ადგილ-მამულის გამოადგევი მიწის სამუშაო-იარაღები ეგზავნა, მაშინ მართლათ დაეცლებოდა მამულის მეპატრონეთა და თვითონაც დღე-ღამე უფრო მიეცემოდა სარგებლობა. მაგრამ, ეტყობა, ამან სრულდებით არ უფიქრია და დარწმუნებული ჰყოფილა, რომ ამას ჩვენ ვერ შევნიშნავდით და იქ ხმარებიდან გადავარდნილს და დაძველებულს მიწის იარაღებს მაინც და მაინც გაასაღებდა.

რა სანატრელი და სასიქადულო იქნებოდა, ჩვენის მამულის მეპატრონეებისათვის და ამათის ახლანდელის მდგომარეობისთვის, რომ გამოჩნდეს ვინმე იმისთანა პირთადანი, რომელიც განდეს მიზეზი ამ კეთილის საქმის თავიბისა და სისრულეში მოყვანილის და ჩვენი ქვეყნის გამოადგევი მიწის იარაღების და მაშინების რიგიანი დეპო გაეგხსნან ქ. ტფილისში.

ივ. სულხანოვი.

4 დეკემბერს 1867 წლისა.

ს. ტირძისი.

პოლიტიკა.

„რუსის ინვალიდისა“ წინა სტატიაში რომის საქმეზე არის დაბეჭდილი: „ზაზეთი Patrie ამბობს: რომის საქმე ემ კავშირსა ჰგავს, რომელიც აერთებს ავტორიტეტობის (*) პრინციპის და რევოლუციის პრინციპის ბრძოლასა. შრანცია სარგებლობს იმითი, რომ დამკვიდროს ავტორიტეტობის პრინციპი და დამტკიცოს რევოლუციის პრინციპის მხედლობა. რუსეთში, ანგლიამ და პრუსიამ უნდა გადასჭრან, ამ შემთხვევას ყურადღებას მიაქცივენ თუ არა. ამაზე Journal de St.-Petersbourg უბასუხებს: Patrie შეცდომაში შედის, რომ ამბობს, ავტორიტეტობისა და რევოლუციის ბრძოლა ზარიბაღის დამარცხებით გათავდა. მხლა საქმე არის ორ მმართველობას შუა—იტალიისა და პაპისა—ორთავენი თავიანთს თავს ავტორიტეტობის, ანუ უკეთა ეთქვათ, სულიერობის პრინციპის წარმომადგენლათა რაცხვენ. შრანციას ამ ორთა შუამავლობის ადგილი უჭირავს; იმან მიიწვია სახელმწიფოები, რომ განსაჯონ ეხლანდელი საქმეების მდგომარეობა, და როგორცა ეტყობა ზოგიერთმა სახელმწიფოებმა მოინდომეს, რომ მანამ საქმეს შესდგომოდნენ, ჯერ მეცათ თვით შრანციის მმართველობა რასა ჰფიქრობს ამ საქმე-

(*) ავტორიტეტი, რაც კი დებულება ან მწერლის პაზრი დაურღვევლ ჰქმნაობით არის მიღებული საზოგადოთ.

ზე და აგრეთვე რას ფიქრობენ რომისა და იტალიის კაბინეტები... თუ კი შერაპის საერთო თანხმობას გავლენა უნდა ჰქონდეს, იმაზე მინდობის ეჭვი არ უნდა შემოიტანონ და არც უნდა დასთანხმდეს, რომ განუსაზღვრელი საქმე სახელმწიფოების განსჯაში შევიდეს, საქმე რომლისაც დასკვნა არ დამტკიცებულა და ამ დასკვნის ასასრულებლათ გარანტია არ დადებულია. თუ არა და შერაპის გარეგა ამა საქმეს გადაწყვეტის მაგიერ უფრო გააძნელებდა და რევოლუციის პრინციპი კონფერენციას სრულდებით ყურადღებას არ მიაქცევდა; კიდევ არის ეს რომ ეგ არ უნდა მოხდეს.

შრანცულთი ოფიციალური გაზეთები ძალიან მსუბუქათ ეპყრობიან იტალიის ეხლანდელს ამბებსა. იმათის აზრით შერაპამ რომ დაადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც სექტემბრის კონვენციის ღირს იყო, ყველა რიგიანათ იქნება. ზაზეთი Journal de St-Petersburg ამ გაზეთებს ძალიან სწორეთ წინ უდებს განსაჯელათ ამ შემდეგს კითხვებს, რომელნიც არ შეიძლება, რომ ასცილდეს და არ გადაწყდეს.

არის რამ უსაფუძვლო, რომ იტალიელებს რომის დაჭერა უნდათ.

მანამ პაპის ქალაქი გახდებოდა რომი, წინათ განა იტალიის სატახტო ქალაქი არ იყო თუ?

შეიძლება რომ პაპის მსოფლიო მფლობელობა შემავრდეს, როგორც აქამდინ იყო?

მს მფლობელობაც, როგორც ყველა კაცისგან დაწესებულია, არ შეიცვალა თუ.

პაპის მსოფლიო მფლობელობა იმის სასულიერო მფლობელობაზე დამოკიდებულია თუ არა?

თავის ძალზე მითრებული პაპი ვერ დაცავს მსოფლიო უფლებას; ეთქვათ, რომ ეს დაჰკარგა, ან ნებაყოფლობით ამაზე ხელი აიღო; თუ იმის სასულიერო უფლებას აუტყდა სასაშიშრო მიზეზი, ამ შემთხვევაში არ შეუძლიან სხვის შემწეობაზე იმედი ჰქონდეს?

შერაპისთვის უფრო მეტი ინტერესი იტალიის მშვიდობიანობა არ არის: რა სარგებლობაა, რომ პაპი და იტალიის კაროლი აქამდის ნიადაგ შეუწყვეტელს წინააღმდეგობაში არიან?

შრანცია. შულ-შაერის სიტყვა შრანციის სჯულის-დამდებს კრებაში 2 დეკემბერს. შულ-შაერმა პირველათ დაიწყო ამის დამტკიცება, რომ პალატას არ შეუძლიან რომზედ გალაშქრება მოიწონოს ოთხი მიზეზისა გამო: პირველათ ამისთვის, რომ ეს სამართლის წინააღმდეგია; მეორეთ ამისთვის, რომ ეს შრანციისათვის საზარალო საქმეა; მესამეთ,—რომ ამ ლაშქრობას სიკეთის მაგიერათ ენება მოაქვს იმ საქმისათვის, რომლისათვისაც ის გამზადდა, მეოთხეთ—რომ ამის (ლაშქრობის) შედეგი იქნება სხვა და სხვა საშიშარი თვისების მქონებელნი კომპლიკაციები. რადგან ორატორს ჰსურდა, რომ საქმე ყოველ-მხრივ განემარტა, ამისათვის ის გადასწვდა 1849 წელში მომხდარს საქმეებს და გამოაცხადა, რომ თუ პირველს გალაშქრებას რომზედ მოვიწონებთ (1849 წელში), მეორე გალაშქრებამ კი შრანცია გასაქირს მდგომარეობაში ჩაადგო. 1849 წელში შრანციის ჯარი იმ აზრით გაიგზავნა რომში, რომ აესტრიის ვარჯება შეგვეყენებინა და პაპის საერო უფლება დაგვეყარებინა; ამას ამტკიცებს მდგარ ნებისთან მიწერილი წიგნი. მაშინ შრანცია რომის საქმეში იმისთვის გაერიგა, რომ პაპისათვის კეთილი რჩევა მიეცა. მაგრამ პაპს რჩევის მიცემა უკანონო საქმეა—ბოროტებაა. აი ეს არის იმის მიზეზი, რომ შრანციის ყოველი მეცადინეობა ფუჭათ მიდის. 1849 წელში რომზედ გალაშქრების შედეგი ის იყო, რომ აესტრიის ჯარი იძულებულ იქმნა რომიდან გასულიყო; ხალხმა კიდე უარი სთქვა პაპის მფლობელობის ქვეშ ყოფნაზედ. მითომ

რა ქნა ამ შემთხვევაში შრანციის მმართველობა? იმან დანიშნა პაპის ჯარების წინააღმდეგლათ თავისი გენერალი—ნაპოლეონი და ჩააბარა, რომ პაპს დაუმორჩილოს განდგომილი მზრა. ამ მზრის დასამორჩილებლათ პაპისადმი შრანციას შეეძლო მარტო ერთი სიტყვა ეთქვა იტალიის მმართველობისათვის და საქმე გარიგებოდა; მაგრამ იმან ეს სიტყვა არა სთქვა და პაპის ჯარები დამარცხდნენ (ლაპარაკს აწყვეტინებენ). მას დღეს აქეთ პაპი ძალადატანებით თხოულობს, რომ რომის სამფლობელო აღსდგეს თავის ძველსამზღვრებამდის. პაპმა უარი სთქვა იტალიის სახელმწიფოთ შეწყნარებაზე და მიკტორ-მმანუელის მმართველობას ის „სუბალანის მმართველობას უწოდებს“. ამ გვარი ქცევით პაპი შეურაცხებას აყენებს იტალიის მმართველობას და რადგან იტალია შრანციის მომხრეა, ეს შეურაცხება თვითონ შრანციასაც შეეხება. შევლავ და ყველაფერში ვხედავ მე ანარხიას, არეულობას, სჯულების და კონვენციის პირობების დარღვევას, თქვენის საკუთარის პოლიტიკის უკან და უკან წასვლას, იმის გზიდან აცილებას. მამუდმებით რომ ეწინააღმდეგებით თქვენ თავს და თქვენს სისუსტეს ააშკარავებთ, ამით თქვენ თვითონ არღვევთ სექტემბრის კონვენციას; შემდეგში კი ხელზე იხვევთ ამავე კონვენციას და ამით რომზედ მეორეთ გალაშქრებას ამართლებთ. (მარცხენა მხარე მოუწონებს.) საიდგან მიიღო ასე უცებ შრანციის მმართველობამ ესეთი შთაბეჭდილება? მან სახელმწიფოების მორიგების პირობა ისეთივე დაურღვეველია, როგორც კერძობითი პირობის წერილები? სიტა მაგალითები იყო, რომ ამ გვარს სახელმწიფოების პირობებს აღარაფერი ყურადღება აღარ ათხოვს? ამის გამო რომ ხშირად ეწინააღმდეგებით ხოლმე თქვენს აზრსა და ამით გვიჩვენებთ სისუსტეს, ბოლოს იმდენზე მიიყვანეთ საქმე, რომ არღვევთ სექტემბრის კონვენციას და შემდეგ თქვენგანვე დარღვეულის პირობების ძალით იმართლებთ თავს და რომზედ მეორედ გალაშქრება კანონიერად მიგანიათ. (მარცხენა მხარეზე მოსწონთ). შრანცია ვიკითხოთ, ეს რის გამო მოხდა ასე უცხად, რომ შრანციის მმართველობამ ყოველის ფერზე წყრომა დაიწყო? მან სახელმწიფოები პირობის შეცვრა და კერძო პირებისა ერთი? კერძო პირებს სჯული არ გააბედინებს პირობის დარღვევასა, მაგრამ რამდენჯერ მომხდარა, რომ სახელმწიფოებს ყურიც არ უთხოვებიათ დადებულის პირობისთვის. 1852 წლის ტრაქტატი, რომლის ძალითაც არ უნდა შეხებოდნენ დანიის სამფლობელოსა, განა იმპერატორის ხელმოწერილი არ იყო? რაკა პრუსიამ გამოაწვია თავისი ჯარი და ემუქრებოდა შრანციას; როცა პრუსიის საზღვრების გაზანეირებაზე დაიწყეს ლაპარაკი, როცა ამბობდნენ, რომ პრუსია თან-და-თან დიდდება, ძლიერდება და შეიძლება შეიქმნესო შრანციისთვის საშიში მოპირდაპირე, მაშინ თქვენ არ ეყავით, რომ ამ აზრს დასცინოდით? მაშინ როდესაც შრანციისგან ხელმოწერილი ტრაქტატი დანიის საზღვრების შეგლეჯას ნებას არავის არ იძლედა, თქვენ ნება მიეცით იმის მტერსა, რომ დანიას შესეოდა. თქვენ ამტკიცებდით, რომ შრანციის ინტერესი მოითხოვს, რომ 1852 ტრაქტატს ყურადღება არ მიაქციოსო და ამით ნება მიეცით ძალა დაეტანებინათ დანიისთვის. ახლამომ გამართლდა ჩვენი სიტყვები. დანია და ჩაგრეს. როცა აესტრიამ და პრუსიამ დაიწყეს ნაშოვრობის გაყოფა, წაიკიდნენ და ერთმანეთში ომი ასტყეს. მაშინ იმპერატორმა გამოსცა თავისი წერილი, სადაც იყო ნათქვამი: პრუსიის საზღვრებო ერთობ უხეიროთ არიანო დალაგებულნი და სრული ნება აქვთ თავისი საზღვრები გადასწოროსო. მე არ შემიძლიან, რომ ამის წინააღმდეგი ვაგზდე, რადგან მთელს პრუსიას ასე ჰსურს. სადოვაზე გ

მართა დიდი ბრძოლა; ჯერ ნიკოლსბუ-
რგში გარეგნულ და შემდეგ პრაგაში. შრან-
ციის მთავრობამ სთქვა, რომ „საქმე გათავი-
ბულია“. ამა ვინ იტყვის: რეინის მარცხენა
ნაპირზე გვერდო რამე თუ არა? არაფერი არ
გვრგვინა. მე შემდეგ ერთი ტრაქტატის გა-
სხვებდა, რომლის ძალითაც ბედკრული პრინ-
ცი გაგზავნეთ შორს ქვეყანაში და შეიქნა
თქვენის განზრახვის მსხვერპლად; თქვენ დაპ-
პირდით ამ პრინცს მფარველობასა და ამავე
ტრიბუნდგან წარმოსთქვი იმისთანა სიტყვე-
ბი, რომლებსაც ვერ ჩააჩუმებს ახლანდელი
თქვენი დრტინვა და რომელნიც შეუშლე-
ლად დაიბეჭდებინა ისტორიის ფურცელზე. აი
ეს სიტყვები: „ჩვენ მხოლოდ მაშინ მოვბრუნ-
დებით, როცა ჩვენს წინა-მოსაზრებას გაე-
მართლებთ და იმპერატორს მაქსიმელიანს
მეხიკის ტახტზე დაამტკიცებთ“. შეერთებუ-
ლის შტატების რესპუბლიკას მოსწყინდა რა
თქვენგან ატეხილი შინა-ომიანობა, ბატონუ-
რათ გიბრძანათ ზღვისპირისკენ დაიწყოთ, და
თქვენ დამოკრძალებით ამ ბრძანებას, (დრ-
ტინგა). თქვენ მეტი გზა არ გქონდათ. ასე
უნდა მოქცეულიყავით და არც გაბტყუნებთ
ამაში (ბევრს სკამზე ყვირილი აღიძრა). მით
უფრო არ გაბტყუნებთ, რომ წინათვე გი-
წინასწარმეტყველეთ ესა.. მარეობების ძალით
თქვენ ასეთს მდგომარეობაში ჩასვინდით,
რომ ორში ერთი უნდა ამოგერჩიათ: ან უნ-
და დაღუპულიყავით, ან თავს-ლაფი უნდა
დაგსხმოდათ. თქვენ უკანასკნელი ამოჩრჩი-
ეთ და ბედკრული პრინცი გაეცით. მრატო-
რი ამბობს, მე პატივს ვცემ იმათს აზრს, ვი-
საც პაპის საერო მფლობელობის დარჩენა უნ-
და; მაგრამ, რამდენიც გამოცდილებით შე-
მიტყვია, სრულებით არ მესმის ამ შემთხვევა-
ში ზემოხსენებულის გეგმების სურვილი. მა-
ნა თქვენ თვითონ არა ხედავთ, რომ საერო
უფლება პაპისა ყოველთვის მიძიმე უღელიყო-
ფილა? ამას შემდეგ ჟულ-შაფრი საღმრთო
წერილით ამტკიცებს, რომ პაპები მაშინ უფ-
რო ძლიერები შეიქნებიან, როცა საერო
მფლობელობა ჩამოერთმევიან. 1848 წელს,
როცა იტალიასა და ავსტრიას შუა ომი აღი-
ძრა, პიო IX, როგორც მთელი საქათლოცე
ქვეყნების სასულიერო თავმა მონაწილეობა
არ მიიღო ამ ომში. ამითი თვითონ იმან
დამარხა პაპის საერო მფლობელობა. მაშ უნ-
და ვიკითხოთ, აწ როგორ უნდა იმოქმედოს
შრანციის მმართველობამ? იმისი ახლანდელი
მდგომარეობა ბევრათ უარესია და გაჭირვე-
ბული იმ მდგომარეობაზე, როგორშიაც სეკ-
ტემბრის კონვენციის დაწესებამდის იყო. მრ-
მოცდა ათი მილიონი ფული და ბლომათ
საღდათებიც იმისთვის შეესწირეთ, რომ ამის-
თანა გასაჭირს მდგომარეობაში ჩაესვინებო-
ყავით. მითი მმართველობა გრძნობს თავის
სულს მდგომარეობას. ახლა ამაზე აქეთ ლა-
პარაკი, მოხდება თუ არა კონფერენცია; მაგ-
რამ საქმე ამაზე არ არის დამოკიდებუ-
ლი. საქმე ეს არის, შეუძლიან თუ არა პაპს
ისე გამოცხადდეს კონფერენციაში, რომ თავის
ტახტზედ ხელი არ აიღოს და ან სხვას
არ დაუთმოს პაპობა:—შე. ჟულ-შაფრის აზ-
რით ეხლანდელი გაჭირებული მდგომარეო-
ბიდან გამოსასვლელათ ეს ორი ღონის ძი-
ება დარჩენია შრანციას: თვითონ იტალიას
და რომს უნდა მიენდოს საქმე და, როგორც
სურთ, ისე უნდა მორიგდნ იმისი ერთმა-
ნერთში. (ხმა მაღლა ლაპარაკია). თუ ეს არ
გინდათ, მაშ მეტი გზა არ არის, პირდაპირ
უნდა გამოაცხადოთ, რომ პაპის საერო უფ-
ლების დაცვა გსურთ, და კიდევ ჩქარა უნდა
შეასრულოთ ეს საქმე (ბევრნი ამბობენ: სწო-
რეთ ვგრე, სწორეთ ვგრე). რახან ასეა, მაშ—
ფლოტი და ჯარი უნდა მომზადდეს და პა-
პს ყველა თავისი სამფლობელოები მიუბ-
რუნდეს. ჩვენ ხელი უნდა ავიღოთ იმ საქმე-
ებზე, რაც 1859 წელში შეეასრულეთ, (დ-
ლეა). მაგრამ ამასთან ესეც უნდა გქონდეთ

ყურადღებაში, რომ პაპის სამფლობელოდგან
ჩვენი ჯარების გამოყენა აღარ შეგეძლებათ,
ამისთვის რომ, რაკი ისინი გამოვლენ, პაპს
მაშინვე გაუდგებიან მხარები. 1849 წელს
აქეთ რომის საქმე არ გაუმჯობესებულა. 1849
წელში ავსტრია 35,000 ათასს ჯარს ინახა-
და რომანიაში, მაგრამ ჩვენი ორმოც და ათი
ათასი ჯარიც მოგვინდებამ ამ საქმისათვის და
ვგრეთვე 100 მილიონი ფული დაგვეხარჯება;
ეს ამ მიზეზით, რომ მაშინ რომანიის ხალხი
სულს თვალთ დაუწყებს ჩვენს ჯარს ცეკ-
რას და მტრობას არ დაუღწევს. იქნება თქ-
ვენ ფიქრობთ, რომ პაპს ეხლანდელს პროგ-
რესს და ცივილიზაციას მიჰყვება, რადგან ეს
საჭიროა იმისთვის? ძალიან მოტყუებული ხართ
მაგში! თქვენ ამის იმედი ნუ გქვებათ. თქ-
ვენ წინ დგანან: ცალ-მხრივ მოქალაქეთ სა-
ზოგადოება ენერგიით, ძალით და იმედით სა-
ესე; მეორე მხრივ პაპს, რომელიც ცდილობს
ეს ხალხი ძვილის გზისაკენ გააბრუნოს.
მითიონ სიბრძნემ იმპერატორის პირით, გე-
უწყა, როგორც სჩანს იმის წიგნიდან 20 მა-
ისს, რომ პაპის მმართველობა თავის თავს
ეწინააღმდეგება და ეს მეროპას აღელვებს.
სჩივიან, რომ მატერიალისტები მრავლდები-
ნო, უღმრთოობას ქადაგებენ და ეს ხალხი-
სათვის საშიში არისო. მატერიალისტების აზ-
რობა არც მე მომწონს. მე თვითონ წინა-
მდეგი ვარ იმათი, ვინც უარ ჰყოფენ ყოველ
გვარს სარწმუნოებას, ემონებიან თვისთა ენე-
ბათა—გულის თქმათა, ჰყდიან წიგნებს გასა-
მდიდრებლათ და უმეცარს ხალხს ატყუებენ.
მაგრამ მე უფრო ს. ძაღლ-თ მიმაჩნიან ისინი
და ძრიელ წინააღმდეგ ვე რ იმათი, ვინც ლე-
თისაგან მინიჭებულს კაცისადმი გონიერების
უფლებას შეურაცხ-ჰყოფენ და თავისუფლე-
ბის აღმოფხვრას ცდილობენ. როდესაც ამ
ხალხს თავისი დოკტრინები ძალადობით გა-
ჰყავს და იმათ დასაცველათ მახვილს ხმარო-
ბენ; როდესაც ისინი ასე ამბობენ: „სისხლი
დაიღვარა, მაგრამ ეს არაფერია, ჩვენი მფლო-
ბელობა ხომ დავიცავით“. ამ გვარი ხალხი
მე მატერიალისტებზედ უფრო საშიშარნი და
მაგნებელნი მგონიან. ჩემის აზრით ისინი თვით
უპირველესი მტრები არიან მოქალაქეობისა,
საზოგადოების წესისა და პროგრესისა, რომ-
ლებმაც ჩვენ და ჩვენი შეილები ბედნიერე-
ბის სხივით უნდა დაგვეფარონ და ქვეყნიუ-
რი კეთილდღეობა შეგვიძინონ (მარცხენა მხა-
რეზედ მოუწონებენ). თქვენც მოწყალეო
ხელმწიფეო სწორეთ ამ გვარს დოკტრინებს
აჩეჩებთ ხალხს მახვილის ძალით. მე დარწმუ-
ნებული ვარ, რომ ჩვენმა მართველობამ, ეს
ოპსკურანტობის ხარტია ლუკმა-ლუკმა დაგ-
ლიჯა სახელმწიფო რჩევის შემწეობით, მაგ-
რამ, რადგანაც იმან რომში თავისი ჯარი გა-
გზავნა და იტალიელების სისხლი ფრანკლზე-
ბის სისხლს შერთა, რომელნიც არაფერში
დანაშაულნი არ იყვნენ, ეს ისეც არის, რომ
ეს ხარტია სევერედურს იტალიის ხალხს ძა-
ლათ მიაჩეჩა ხელში ჩე ნმა მმართველობამ.
(ლევა და ხალხის ყაყანია. ჟულ-შაფრის ულო-
ცავენ მეგობრები, რომ კარგათ გაათავა თავისი
ლაპარაკი).

— სახელმწიფო მინისტრმა უფ-
რუემ უფ. ჟულ-შაფრის სიტყვის პასუხათ
სხვათა შორის ესა სთქვა: „ჩვენ გვეკითხავენ
ამ სამს საქმესა. ჩვენმა ჯარმა რომში რა უნ-
და აკეთოსო? კონფერენცია რომ მოხდეს,
ჩვენ როგორ უნდა მოვიქცეთ? ან რას აპი-
რებს ჩვენი მმართველობა, თუ კონფერენცია
არ მოხდაო? მინამ პაპის მდგომარეობა საში-
შარი აღარ იქნება, შრანციის ჯარი იქ უნდა
დარჩეს. კონფერენციის შესახებ ჩვენ გამოუ-
ცხადეთ სახელმწიფოებს, რომ წინ და წინ
პროგრამის შედგენა არა გვწადს. ჩვენ წარეს-
დებით კონფერენციის წინ ჩვენი წარსულით
და აწინდელით. პაპამ, რომელსაც ეს საქმე
უფრო ძრიელ შეეხება, მაშინვე დაუყოვნებ-
ლოდ მიიღო ჩვენი მიწვევა კონფერენციაში

მონაწილეობის მიღებაზედ. თუ კი წმინდა მა-
მა ასე მონდობილია ჩვენზედ, მაშ ჩვენ რაღა
დაგვაყენებს და იმის მაგალითს რათ არ მიე-
ყვებით? შეგიძლიან თქვენ, რომ მმართვე-
ლობისაგან შედგენილი საქმე არ მოი-
წონოთ? პაპა საჭიროებს და უნდა რომის და-
პრობა, მაგრამ იტალიასაც უ რომით ვერ
გაუძლია. ჩვენ ვაცხადებთ, რომ იტალია
რომს ვერას დროს ვერ დაიპყრობს (დიდნო-
ბამდის ტაშსა სცემენ) არას დროს შრანცია
არ მოითმენს თავის პატიოსნების და კათო-
ლიციზმის დამცირებას (ხელმეორეთ მოუწო-
ნებენ). ის მოსთხოვს იტალიას, რომ სეკტე-
ბრის კონვენცია ნამდვილათ აღასრულოს,
თუ არა და თვითონ მოიხმარებს ღონისძიე-
ბას იმის ასასრულებლათ. ახლა ხომ გაიგეთ?
(კიდევ ტაშის კვრას). შეფალო, თუმც თქვე-
ნი ტაშის კვრა სასიამოვნოთა მაქვს, მაგრამ
უნდა გაგიტყდეთ, რომ მე ამით ცოტათი
ვკრთობი. მართლათაც და ჩვენ ამ საქმეზე
სხვანაირათ არსად და არას დროს არ გვილა-
პარაკნია? რათ უნდა მოგვხდამოდა ასე-
თი საქმის მიუხედელობა? თუმც ჩვენ ძა-
ლადატანებით ვთხოვლობთ, რომ სეკტემბრის
კონვენცია აღასრულონ, მაგრამ ამასთანვე
გესურს, რომ იტალიის ერთობა დამყარდეს;
იტალია და რომი ორივე ერთად არსებობდეს.
— შრანციის სჯულის-დამდებს კრება-
ში, 14 დეკემბრის უფალმა ტიერმა ეს სიტ-
ყვა სთქვა: „ღიდის ყურადღებით მოვისმინე
უცხო-ქვეყნის საქმეთ მინისტრის სიტყვა, მა-
გრამ მე იმაში პოლიტიკის პრინციპები და
იმისი საფუძვლიანათ გამოკვლევა ვერა ვბო-
ვე. იმის ლაპარაკიდან შეიძლება კაცმა ცო-
ტადენი რამ შეიგნოს პაპის მართებლობი-
სა და იტალიის მმართველობის ერთმანეთ-
თან მორიგების შესახებ, მაგრამ ამ მორიგე-
ბაზედ ლაპარაკი ტყუილი ლა არის. რამდე-
ნიმე წლის წინათ, როდესაც შმბრიაც პაპი
სა იყო, კიდევ შეიძლება გვეფიქრნა, რომ
ისინი მორიგდებოდნენ; ეხლა კი ეს შესაძ-
ლებელი აღარ არის. ახლა ეს მორიგება უმ-
გევანო. კონფერენციას ეძახიან, მაგრამ მე-
როპის სახელმწიფოები ჯერ ამას გვეკითხვენ
რა გინდათ ქმნათო ამ კონფერენციითა? შუ-
ხო-ქვეყნების საქმეთ მინისტრმა არაფერი შე-
ამაღლობა არ დაგვანახა ამ სამძიმო მდგო-
მარეობიდან როგორ უნდა, გამოვიდეთ. პირ-
დაპირ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ არავითარი
პოლიტიკა აღარა გვაქვს. ბეჭდნა ცუდი პო-
ლიტიკა იმ დროს, როდესაც სანაციონალო
(სახალხო) იდეებისათვის (აზრისათვის) ვილ-
წვდით, მაგრამ ეხლა ისიც აღარა გვაქვს. ამ
მიზეზისაგან მე ვარჩიევ, რომ პალატის წინ
გავარკვიო ის უპირველესი საფუძვლები,
რომლებითაც ჩვენ უნდა ვინებოდნენდეთ
რომის საქმეზედ მოლაპარაკების დროს და
ამასთან დავანახო მართველობას ის ერთად-
ერთი პოლიტიკა, რომელსაც უნდა მიყვეს
და რომლის იქითაც იმას გზა არა აქვს. იტა-
ლია გვეუბნება: მე თავისუფალს ხალხს შე-
ვადგინ, ჩემი დამოუკიდებლობა თქვენ თეი-
თონ მიიღეთ სამართლიან საქმეთ. მაგრამ ეხ-
ლა თქვენ ჩემს საქმეში ერეებით, თქვენისაზ-
რობისა გამო სარწმუნოების შესახებ. ამ გე-
რის ქცევით თქვენ ჩემს უფლებას არღვევთ.
პაპი კიდევ ამას იძახის: თქვენ იკისრეთ ჩემი
და კათოლიკების უფლების დაცვა, პატიოსანი
სიტყვა მოგვეცით, რომ ამ ელდებულებას
უთუოთ აღასრულებთ. აქვს თუ არა უფლე-
ბა, რომ იტალიამ ასე ილაპარაკოს? მიტყვი
ამაზედ ჩემს აზრსა. რომის საქმეში შრანცია
ვალდებულია მხოლოდ პაპის უფლება დაი-
ცვას და არა იტალიის მმართველობისა. მე
დიდხანია ასე ვფიქრობ. ამ ოცდა შეიდი
წლის წინათაც ამას ვამბობდი. არა სახელ-
მწიფო არ დათანხმდება, რომ იმის სამფლო-
ბელოს მიჯნაზე თავის ნებით სახელმწიფო
აშენდეს 25 მილიონი მცხოვრებით. ამის შე-
მდგომ ორატორს მოჰყავს მაგალითები ის-

ტორიიდან და ამტკიცებს, რომ თუ იტალიას
სხვა-და-სხვა შემთხვევა არ მიეცემოდა, ეს
ისეთსავე მდგომარეობაში დარჩებოდა, როგორც
გარც უწინ იყო. მაგრამ შრანციამ ეს არ
ინდომა და იტალიის შეერთებას შეუდგაო.
მრატორი შეერთებულს იტალიას იმაში ამ-
ტყუენებს, რომ ის რევოლუციის იარაღი შე-
იქმნა 1866 წელში, ახალის დროს დიდი
ზნეობითის რევოლუციისათვის. იტალიის საქ-
მეების მსვლელობა სრულებით არ ამართლებს
შრანციის პოლიტიკას; ეხლა პაპი თვით უსა-
წყლესს მდგომარეობაშია. შრანციის მმართვე-
ბლობამ ვამაგრა ისა, მაგრამ ეხლა შრანცია
თავის ჯარის უკან დაბრუნებას აპირებს. ბედ-
კრული პაპი თვით სასოწარკვეთილს მდგო-
მარეობაში ჩაეარდა და ძლივს თუღა პოუ-
ლობს იმდენს ღონეს, რომ თავისი არსებო-
ბა დაიცვას. შე. ტიერი იტალიის შეერთებას
ყველა მეროპის უბედურების წყაროთ რაცხს.
როდესაც ბერმანიის კავშირი არსებობდა,
იმან მეროპის მშვიდობიანობა ორმოცდა ათს
წელიწადს დაიცვაო, და ვაი, რომ ეხლა ის
აღარ არისო. ამ კავშირის მაგიერათ სამხედ-
რო მონარხია აღსდგაო, სადაც ორმოცი მი-
ლიონი მცხოვრებიაო. ახლა ჩვენ ორ ცეც-
ხლებს შუა ვართ მომწყვდეულნიო, ორს შე-
ერთებულს სახელმწიფოებს შუა. მართი სა-
ხელმწიფო ჩვენ თვითონ შევეერთეთო
და მეორეს შეერთების ნება მივეცითო. მს
სახელმწიფოები მშვიდობიანობის პირობათ
ერთი პაპის სამფლობელოს შემატებას გვი-
დებსო და მეორე—ყველა სამხრეთ ბერმანი-
ის სახელმწიფოების თავისი შთანთქმას. ასე-
თია ეხლანდელი საქმეების მდგომარეობა,
ამაზედ ცილობას არავინ დამიწყებსო. (რო-
მელიმე სკამებიდან: ძრიელ კარგა! ძრიელ
კარგა!) ტიერმა ბევრი ილაპარაკა იმაზე, თუ
სახელმწიფოები როგორ აღსდგებიან და ამას-
თან ცდილობდა დამტკიცებინა, რომ წერი-
ლი სახელმწიფოების არსებობაც საჭირო არი-
სო. თუ რომ წერილი სახელმწიფოები არ
იყოსო, მაშინ მეროპის პოლიტიკის არსებო-
ბა შეუძლებელი ლა იქნებოდაო, აზიურს ხა-
სიათს მიიღებდაო. აზიაში ტამერლანი 200
მილიონ მონასა ფლობდაო.
არც ერთი სახელმწიფო ამას არა იქმს, რო
თავისი ადგილი სხვას მოაჭრევიანო. ამაში
ექვი არ არის.—ჩვენ გვინდა იტალია მოკე-
შირეთ გვეყოლოს; მაგრამ რაკი გასაღვე-
ბული მიწები შ მოიერთა, ის განდა სამხედრო
სახელმწიფო. შე. მისმარკი ეთობა არ აფასებს
მომკრო სახელმწიფოებსა, მაგრამ ის მაინც
კეთილ-სინდისიანათ მოექცა მანროვერის, ნა-
სსაუს და ბესსენის საკურფირსტოს მფლობე-
ლებს ამით, რომ დაუბრუნა თავიანთი საკუთ-
რება, როგორც კერძოობითა მფლობელოსა;
მაშინ როდესაც საეოის სახელმწიფო სახლმა
მიითვისა იმ ხელმწიფეების ქონება, რომელ-
თაც წართვა ტახტები. ამა რას ვხედავთ?
ჩვენ გვეცხადენ, ძალდატანებით მოქმედებთო,
იმისთვის, რომ პაპის დარღვეული სამფლო-
ბელო გვინდა დავიცვათ! ტიერი ამტკიცებს,
თვითონ საეოის სახელმწიფო სახლი მოქმე-
დებს ძალდატანებით, ამისთვის რომ იტალიის
კაროლები ტახტიდან გადაგდო. შრან-
ციას ყოველთვის უსამართლოთ მიაჩნდა ამ-
ისთანა მოქმედება. თავის განზრახვის ასასრუ-
ლებლათ საეოის სახლმა ისარგებლა ბ რიბალ-
დის მოქმედებითა. ბარიბალდი გაემართება
სალაშქროთ, რომ საეოის ხალხს შესძინოს
ახალი საკაროლოები; თუ ლაშქრობა ცუდათ
გათავდა, ბარიბალდის გვერდზე გაუდგებიან
და დაატყუალებენ. ამ წარჩინებულის გეგმის-
თვის თავისებური სატუალო აქეთ: სახელ-
ლობ კუნძული პაპოტო. თუ ბარიბალდი გა-
იმარჯვა, მაშინ ასე ეუბნებიან: „შენ მერე-
ვოლუციე ხარო; რაც იშოვნე, ჩვენ გვეუ-
თენისო.“ ბარიბალდი შევარდნია, რომლი-
თაც საეოის სახელმწიფო სახლი წაე ხოლმე
სანადროთ. (მოიწონებენ). როცა შრანციამ

გაუწეინა ხელი იტალიას შემწეობისათვის და მიიღო თვის საფარს ქვეშ, მაშინ იმას პირობა დაუდო, იტალიაში მხოლოდ ერთი გეგმა და იმას არა აქნა რა? პირდაპირ ესთქვათ. მის იცავთ? იმ ხელმწიფეზე გვაქვს ლაპარაკი, რომელიც მთელი საკათოლიკე ქვეყნის თავია. მს გარემოება ძალიან აძნელებს საქმესა. ბოლოს აი რას ამბობს ტიერი: ჩემის აზრით შრანცია სრულიად მართალია იტალიასთან. შრანცია შეჭრა იტალია. იმან ნება მისცა ყველა კაროლების ტახტიდან გადაგდებისა, მხოლოდ უთხრა, ერთს გვამს არ შეეხოვო. ტიერს არ უნდა საჯვაროსნო ომი აღტრას იტალიაზე.—მთითონ იტალიაში საქმე ძალიან ცუდად წავიდა, რადგან შრანციის პოლიტიკამ არც ერთი არ ახერხა, არც იტალია, არც პაპი და არც თვითონ შრანცია. შაქრობდნენ, რომ კონვენცია საკვირველვას იქნა; მაგრამ პაპს არ ასცილდა ის შიში, რომელსაც უქაღალდენ და იტალიასაც თავისი ძალა წაერთო, იმიტომ რომ განაზე-ბულს შლორენციაში გადაიტანა თავისი ტახტი.—ტიერი ამტკიცებს: შრანციის მდგომარეობა მით უფრო გაჭირვებულა, რომ იმან მოიმდურა ცალკე იტალია და ცალკე გერმანია. რაც უნდა იქნეს, ამისთანა მდგომარეობიდან უნდა გამოძვრეს შრანცია.—ის სახელმწიფო გვაძო, რომელიც ახლა პრუსიის მმართველობის მოთავეთ არის, იმდენათ მარდი და ხერხიანია, რომ მინამ დროს არ შეიძლება, რაც გულში აქვს, არ გადახადებს. ამ სახელმწიფო გვაძოა შრანციის მოთმინება ორის წლის განმავლობაში დიდს განსაცდელში ჩაადგო.—იტალია რომ გვეთმობდა, რათა შერებოდა ის ამასა? იმისთვის რომ იმედი ჰქონდა, ამ ჟამად პრუსისა ჩემი მოკავშირე იქმნებოდა.—მე არაოდეს არ მიფიქრია, რომ იტალიის ერთობას რამე გაუჭირდეს. რა შეცდომაც ექმნენ, იმას ვეღარას ვუშეგლით. მაგრამ ამას კი ვეტყვი იტალიას: „არ გინდოდათ, გაგვართ ჩემი აზრი. მაშ კარგი, მოკლეთ და ცხადთ გეტყვით, არაოდეს პაპს არ გიმსხვერპლებთ.“

აპსტრია. ბალიციიდან იწერებოდა აუგსბურგის გაზეთში: „ამ დღეებში პარიჟიდან ვენაში დაბრუნდა ჩვენი ლანდმარშალი კნი-აზი საპეგა. იმან მოიტანა ამბავი, ვითომც აესტრია და მისი მოკავშირე დასავლეთის მეროპის სახელმწიფოები აპირებდნენ ხელახლა პოლშის საქმეს ხელი მოჰქიდნენ. ამ ამბავმა დიდი იმედი მისცა ჩვენს არისტოკრატებს. აქ დარწმუნებულნი არიან, რომ პოლშის საქმეს უთუოთ გადვიძებენ, როგორც კი რუსეთი აღმოსავლეთში ენერგიულათ დაიწყებს მოქმედებას. ამგვართ პოლშის პარტია ფიქრობს პოლშა აადგინოს და რუსთი დაამციროს.

იტალია. ბენერალმა მენაბრემ უპასუხა კონფერენციაში მიწვევაზე. შევლაზე პირველათ ის პროტესტს ადგენს იმაზე, რომ მითონ იტალიის საქმეების გარემოება მოითხოვს მეროპის სახელმწიფოების გარეგნა. იტალია კი არა, პაპის მმართველობა ინტრიგებისა და რეაქციურის მოძრაობის მიზეზია, რომელსაც უნდა მეროპის პროგრესს წინააღუდგეს. იმპერატორის ნაპოლეონის ტრონი-სიტყვამ დაამძიდა იტალიის მმართველობა. იტალია მზათ არის კონფერენციის ყრილობაში მონაწილეობა მიიღოს და იმედი აქვს, რომ რა კი სახელმწიფოების წარმომადგენელნი შეიყრიბიან, იმათის განსჯის თავისუფლებისათვის შრანციის მმართველობა რომის სამფლობელოდგან ჯარს გაიყვანს.

ტ ე ლ ე ბ რ ა მ მ მ ბ ი.
პეტერბურგში მიღებული.
შლორენცია, 26 ნოემბერს (8 დეკემბერს). ამტკიცებენ, რომ უ. ნიგრამ (იტალიის ელჩმა შრანცის იმპერატორის კარზე) გაუგზავნა თავის მმართველობას ნოტა და ამასთანავე ახსნა, რომ რუს სიტყვებს მხოლოდ ის მნიშვნელობა ჰქონდათ, რომ შრანცია ნებას არ მისცემს იტალიასა, რომ ძალით რომი დაიპყროს.

— 27 ნოემბერს (9 დეკემბერს). **Opinione** გეუწყებს ახალს ნოტასა, რომელიც მუტიემ შლორენციის კაბინეტს გაუგზავნა. იმაში ცხადდება, რომ თუკი იმპერატორმა ნაპოლეონმა გადაწყვიტა ძალით არაგის დააპყრობინოს რომი, მაგრამ კონფერენციაში საზოგადო თანხმობით თუ გადაწყვეტენ ამ საქმეს, ის წინააღმდეგი არ გახდება.

დრაჟდანი, 27 ნოემბერს (9 დეკემბერს). **უცხო-საქმის** მინისტრმა ბარონმა შრიზენმა გაუგზავნა ცირკულიარული ნოტა ყველა ელჩებს საქონისას. ამ ნოტაშია გამოცხადებული, რომ პრუსიამ განიზრახა ჩრდილოეთ-გერმანიის კავშირის წარმომადგენელთა თვითონ იქმნეს კონფერენციაში რომის საქმის შესახებ. საქონის მმართველობის კითხვაზე პრუსიის მმართველობამ უპასუხა, რომ მე თანახმა ვარო საქონისა და, როცა კონფერენცია შეკრება, პრუსია ჩრდილოეთ-გერმანიის კავშირის მაგივრათ ნებას მისცემს ყველა სახელმწიფოებს ამ კავშირისას, რომ თავიანთი წარმომადგენელი ჰყავდეთო კონფერენციაში.

უშალო რედაქტორო!
ჩემის წიგნის პასუხათ მე მივიღე მუთისის გუბერნიის მარშლისგან ამასთანავე წარმოგზავნილი ბარათი. რადგან განათლებული აზრი ამ ბარათისა ჩვენს ქართველს მამებს პირდაპირ შეეხება, ამისთვის გთხოვთ, თუ ღირსად ჰპოვებდეთ, ადგილი მისცეთ თქვენ გაზეთში შემოხსენებულს ბარათსა.

თქვენი....
3....
საყვარელო ძმაო,
3...

შენი წიგნი მომივიდა ამ თვის გ-ს, რომლითაც მკითხვეთ შესახებ შენის შეილის უნივერსიტეტში გაგზავნისა. მე ამ კითხვამ გამაყვირა.—ნუ თუ შენც არ გჯერა, რომ ახლანდელს დროში უსწავლელი კაცი არის მკვდარი და უსწავლელს კაცს არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია თვისის ქვეყნისთვის და არ ექნება უსწავლელს ღონისძიება კარგის ცხოვრებისა? მს რათ არ იცი, რომ სწავლა არის კაცის გონების გამსწნელი, სწავლა აცნობებს მას ღმერთს, სწავლა განაძტკიცებს მასში ჰუმანიტეტს, სწავლით მოუტანს იგი მამულის სარგებლობას, და სწავლით დაიხსნურებს პატივს ყოვლის წოდებისაგან, რომლითაც შევიძლება განვრძილო კეთილი აზრი და ნამუბობი შორის თვისთა მემამულეთა და ამით მოიპოვებს უკუდაც სახელს.

საყვარელო ძმაო! შენ კიდევ ძველის დროის კაცი ხარ და იქნება ჰფიქრობ, რომ ამ დროში მარტო თოფ-იარაღით და მხედრობით გამოიჩინოს კაცმა თავი და ამით მოუტანოს სარგებლობა მამულს. არა! ის დრო წავიდა, რომლითაც იქებოდნენ ახალ-ვაზრდა კაცნი. ბარნა ესეც უნდა იცოდეს: სწავლული კაცი სიმხნევედ უფრო მტკიცე არის, ამისათვის რომ იმას მრთელად ესმის, თუ როგორი ენალი სძევს მასხედ ხელმწიფის და მამულისა; მა-

შასადამე სწავლული კაცი ყოველს კარგს და სასარგებლო საქმეში მომზადებული არის. მაგრამ ამისათვის მარტო კი ნუ გაგზავნი შეილს, რომ იმან ნახოს მარტო სახლი უნივერსიტეტისა და არ ჰქონდეს ღონისძიება დაასრულოს მრთელად სწავლა. ამას არა მარტო შენ გიუბნები, მეც იმ მამათგანი ვარ, რომელნიც ფრიად ნაკლებათ ვზრუნავთ თვისთა შეილთათვის, და ვაკლვებთ ღონისძიებას, არ ვუგზავნით თავის დროზე სახარჯო ფულს და საბრალო ყმარწილნი კაცები მოშორებულნი თვის სამშობლოზედ, მოკლებულნი არიან საზრდოზე, ოღონდ კი მოვიშორათ თავიდან და რომ ძავესის მთებს გადავლენ, თუნდა თავი ქვას ახლონ, არ ფიქრობთ, თუ იმათ ან მომივდებათ, ან მოაკლდებათ რამე, მაშინ, როდესაც გაივლის რაოდენიმე თვე ერთს შაურსაც არ ვუგზავნით, და ჩვენ კი ელხი-ნობთ, ვაბნევთ უსარგებლოთ უბრალოს კმაყოფილებაზე ფულს და შეილნი ჩვენნი კი სტირიან უქონელობის გამო ღონისძიებისა. აბა წარმოიდგინე, ძმაო, ამ ნაირს უჭირისუფლო დაგდებულთ უსაკო ყრმათ შეუძლიანთ ისწავლონ რამე? სასწავლებელში რომ მიდიან, გზაზე სიცივე, კლავსთ, შინ მოდის, სადილ—გახშიმ არ დახედებთ, ძილი მოუთა ქვეშ-საგები არა აქვსთ, და ჩვენ კი ვაბრალებთ მათს დაუდევნელობას და უსირცხვილოდ ვაყვედრით შეილებს, რომ არას აკითხვენ და კურსს არ ათავენენ!

თუ ამ ნაირს უყურადღებობას არ მოვიშლით, არაოდეს არ შეუძლიანთ ჩვენს შეილებს ხეირი დაყარონ თავსა.—ასრე უჭირისუფლოდ შეილის გაგზავნა და დადგება საცდაობის მეტი რა მადლი არის? და თუ არას მოაკლებ, ვითარცა შეესაბამება კეთილ-გონიერს მამას, ზევითაც მოგწერე და აქაც გეტყვი, სამუდამო ვალში დაშთები, რომ არ მისცე შესაბამი სწავლა. ზოგიერთი მამა ლაპარაკობს: „ბანკი რომ დამტკიცდება, მერმეთ ჩვენს შეილებს ექნება ღონისძიება სწავლისა.“—რასაკვირველია, მიმართულობა ჩვენის ბანკისა არის ამკეთილს საქმეზე, მაგრამ სანამ ბანკი თავის ოპერაციას დაწყებს, თუ მანამ ჩვენმა შეილებმა იქ მყოფთა არა სჭამეს, არა მგონია, რომ გასძლონ მშიერნი, და ამასაც გეტყვი, შენისთანა შემძლე კაცს არ უნდა ჰქონდეს ეს აზრი, ბანკის სარგებლით აღზარდო შეილი და საბრალო ღარიბი და დაცემულის ოჯახის შეილი დარჩეს, რომელსაც არავითარი ღონისძიება არა აქვს. მსეც უნდა იქონიო სახში მამულის ერდგულს მამას არა მარტო თავის შეილისთვის უნდა ჰქონდეს მზრუნელობა, არამედ ყოველთა თვისთა მამულის შეილთათვის თანასწორად თავისის შეილისა, და სადაც საზოგადო მეტი მგრძნობელობა იქნება საერთოთ თვისთა მამულებათვის, რასაკვირველია, მამული მაშინ გამოიღებს უმეტეს ნაყოფს, იფრო მეტი სწავლულნი იქმნებიან და სასარგებლო შეილნი საზოგადოებისა.

მომიტყვე ამ პირუთნო პასუხისათვის, საყვარელო ძმაო! იმედი მაქვს მიიღებ ისრე, ვითარცა ერდგულის შენის მამულის შეილისა და ნათესავისაგან და არ იძულებულს მყოფ მართლის თქმისთვის

უმორჩილეს ძმას
თ-ს **ა. მიქელაძეს.**
ე დეკემბერს ჩუაზ. წელს.
ს. ქულაში.

ძმავ მეგობარო, აზრით, გავნები!
ხსოვნა გქონია მეტად უძლური;
თუმც დამიფუყე დიდის დროებით,

მაგრამ, მერწმუნე, სულ არ გემდურია.
მინდა მოითხოვს ეხლა ხსოვნაში
თუ არ ბავშვი, ან ყმაწვილი ქალი,
რომელთაც ჯერეთ არ გაუსინჯავთ
ის ცხოვრებისა მღვრეული წყალი.
მე შენცა მიცნობ ჩემს ხასიათში,
წვეთიც არ არის ჟინიანობის;
მართს მიზანს მივსდევ ყოველს საათში
და ყმა ერთგული ვარ მუშაობის.
ხან-და-ხან რამე შემთხვევის ძალით,
თუ დრო დამირჩა, ავიღებ კალამს,
ძალაღზედ ვხატავ შენის მელანით
ძველ მეგობრებთან ძველებულს სალამს.
აი თუნდ ახლა ... ლელავს,
ბასაოცარსა საქმეებს შერება:
ზოგათვის ბედი ცის უკეთ ელავს,
ზოგს კი სიცოცხლის ჭრაცაც უჭრება.
ძმები დიდი ხნით მოშორებულნი,
ჰხედვე, რა მალე შეგროვდებიან!
მგოზმისგან გაცალკეებულნი
აბას წელს უკან იკრიბებიან.
მოგონებენ წესებს ძველებულს,
ძველებულათვე ერთ სახლს გებენ;
ღღეს აღადგენ ძმობას, სიყვარულს!
ამით თვის სახელს აღამაღლებენ.
აღტაცებულნი ამ უცხოს ჰაზრით
სიამოვნებით სწირვენ შეძლებას:
მრთამა საქმობით, სასჯელითა და ცდით,
...
პრებმა ღრუბლები, ცა გრგინავს, სწყურება,
ზღვა აღტყენილი ჰყვირის, მღვლე-არეს;
მაშინ მდინარეთ დენა არ სჩნდება,
რადგან ზღვა უფრო მათზედ მდინარეს.
ცა მოიწმინდა, გაჰქრა ღრუბლები.
სტიქიონთ ძალნი დასუსტდებიან;
შქლურდებიან ზღვისაც ზვირთები,
მდინარეები კი კვლავ სდინდებიან.

1866 წ. **შ. აზელი.**
კარმოკოპითი ბანსხაღუა.
თფილისსა „დროების“ რედაქციაში და ბალაენის ჰროსპეტზედ, არწრუნის ქარვასლის წინ ნებეროვის თამბაქოს მაღაზიაში ისყიდებიან მენეციაში მშვენიერი მომსხო ასოთი დაბეჭდილნი და სუფთად შეკრულნი ქართულნი წიგნნი.
მართი დიდი ტომი სამლო-წერილის ძველის და ახლის აღტქმათა მოთხრობა, რომელსაც აქუს 870 პირი, და ორიც ხატი, ფასი 2 მან.
მრცელი წმიდათა ცხოვრება; ერთითა მშვენიერი ხატითა. ფასი — 1 მან. და 20. კაპ.
ზნეობის სასწავლო იეზოპის იგავნი ყრმათა გასაწურთნავად. ფასი 40 კაპ. ხოლო ამა სამთავე წიგნთა ერთად მყიდველს მიეცემა სამივე მ მანეთად.
ამ წიგნებს სამივეს სუფთა კანი აქვსთ, რომელთაც თფილისში სამ მანეთად ძლივს შეჰკერენ. მუთაისში ისყიდება ამავე ფასად ზუაზაზში პავლე მცხელის მაღაზიაში.
3. რეკაჩი.
შპატეცემულეს საზოგადოებას განუუცხადებ, რომ აბრეშუმეულობის და წმინდა ნივთების ჩემი მაღაზინი თ. სუმბათოვის სახლიდან გადავიტანე მელიამინის ქუჩაზე, ცეცხლის საქრობელ კამანდის პირდაპირ, მანდო-ევის სახლში, ფოტო-ნაეთის და ლამპების დეპოს გვერდით უფ. მიტტეს და კამპ.